31/07/2026

MES 7 26 0000999908

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი; საბჭოს წევრი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი:
შტეფანი ჰელგა დროლლი - სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია:
სტეფანე კალაიჯიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლა:
ზურაბი თოდუა - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №92 საჯარო სკოლა:
მიხეილ ჩიქოვანი - სკოლის დირექტორი

სსიპ- ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა:
თეიმურაზ მოქია - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი:
ა) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ქოქუაშვილი(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლა:
ა) დავით ჩივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნიკოლოზ წულაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მანანა ჯაყელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარგარიტა ჯიქია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №92 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა ეუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა:
ა) ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ქეთევან რეხვიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ფიქრია მუსერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 17 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა,

რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის №92 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ- ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ . ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 20 მაისს.
ექსპერტმა, ია ქურიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსულ კორესპონდენციაში ასახული გარემობების მოკვლევა. მისი თქმით განცხადებაში ასახული იყო ინფორმაცია დაწესებულებაში მოსწავლეთა უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სწავლის დაწყებისთანავე მისი შვილი გახდა თანაკლასელთა მხრიდან სისტემური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი, მისი განცხადებით, სკოლის მხრიდან მხარდაჭერის

ნაცვლად, მშობლებმა მიიღეს გულგრილობა. განცხადებაში ასევე საუბარი იყო, რომ მოსწავლე იყო გერმანულენოვანი და საქართველოს ბაზარზე არ იყო ალტერნატიული სკოლა, რომელიც უზრუნველყოფდა სწავლებას გერმანულ ენასა და გერმანული პროგრამით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ შეისწავლეს განცხადებაში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, მისი თქმით, ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა სკოლის მხრიდან არ გამოვლენილა. ექსპერტის თქმით, დოკუმენტაციის შესწავლის გარდა, ექსპერტებმა განახორციელეს ინტერვიუები სხვადასხვა მხარესთან, რომელთა ძირითადი მიგნებებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, მიმდინარე პროცესებში რამდენად იღებდა მონაწილეობას სკოლის ფსიქოლოგი. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროცესებში აქტიურად იღებდა მონაწილეობას სკოლი ფსიქოლოგი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:30
დასრულების დრო: 14:47

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის(ს/კ: 404378874) მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. **ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №1759948 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 180 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 9.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი და მე-4 სტანდარტის შემოწმება. ექსპერტის თქმით, აღნიშნული სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენიშვილი, დაინტერესდა რამდენად უჭერდა მხარს სკოლა მოსწავლეთა კარიერულ განვითარებას. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება სადაც მხარდაჭერის მექანიზმები მკაფიოდ იქნებოდა ასახული.

საბჭოს წერვმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებიმა რა ეტაპზე იყო სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდგომ, აქტიურად დაიწყეს რეკომენდაციების გათვალისწინება, მათ შორის, სტრატეგიული გეგმის შემუშავებაც და უახლოეს პერიოდში აღმოფხვრილი იქნებოდა ყველა დაფიქსირებული ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე

დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის (ს/კ: 234066346) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში, შვიდწლიანი სტარატეგიული განვითარების მისიასთან თავსებადი მიზნების განსაზღვრის და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ჩივაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 19 და 20 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, დავით ჩივაძემ, აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა რომ დაწესებულებას ესაჭიროება სარემონტო სამუშაოები და სკოლის ტერიტორია არ იყო გამიჯნული ტყის მასივისგან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სკოლის სახურავის მოწესრიგების საკითხი. სკოლის დირექტორმა, ზურაბ თოდუამ, აღნიშნა, რომ სკოლის სახურავს არ აღენიშნებოდა რაიმე სახის დაზიანება, მისი თქმით, სკოლისთვის პრობლემას წარმოადგენდა სპორტული დარბაზის გადახურვის საკითხი.

საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, კითხვა ეხებოდა მასწავლებლების სტატუს, რომლებიც სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად არ იყვნენ დასაქმებულები.
სკოლის დირექტორმა, ზურაბ თოდუამ, აღნიშნა, რომ სექტემბრამდე სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად გამოაცხადებდა ვაკანსიებს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რამდენად იყო დაცული მოსწავლეთა უსაფრთხოება.
სკოლის დირექტორმა, ზურაბ თოდუამ, აღნიშნა, რომ სკოლა 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე მიიღებდა შესაბამის ზომებს და სკოლის ტერიტორიასა და ტყის მასივს გამიჯნავდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:15
დასრულების დრო - 15:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - აკაკი ტერელაძის სახელობის ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირისსაჯარო სკოლას (ს/კ: 244970769) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქუტირი
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქუტირი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქუტირი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში თანამდებობების და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება, თანამშრომელთა პირად საქმეებში ყველა სავალდებულო ცნობის წარმოდგენა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების, ქართულის ენისა და ლიტერატურის, მე და საზოგადოების, სპორტის, სამოქალაქო განათლების პროექტის და ფიზიკის ყველა საგაკვეთილო საათის ჩატარება განუსაზღვროს პედაგოგებს, რომელთაც შესაბამისი მიმართულებით დადასტურებული აქვთ საგნობრივი კომპეტენცია, 2026 წლის დეკემბერში, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ვიდეოსათვალთვალო სისტემის,
2027 წლის ივნისში განაახლოს შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზი; სკოლის საკადასტრო მონაცემები შესაბამისობაში მოიყვანოს ფაქტობრივ მდგომარეობასთან, ფანჯრების ნაწილი გამოცვალოს , სართულებს შორის (პირველი, მეორე მესამე სართული) დამაკავშირებელი ლიფტის ან პანდუსის მოწყობა, სპორტულ დარბაზში შესასვლელი კიბის ადაპტირება, აღჭურვოს დაწესებულება საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, 2027 წლის მარტში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა და საჭირო რესურსებით აღჭურვა, 2028 წლის ივნისში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის №92 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა, აღნიშნა, რომ 2026 წლის 17 აპრილის საბჭოს სხდომაზე, ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, წარადგინა პრეზენტაცია სიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის ავტორიზაციასთან დაკავშირებით (ოქმი - 01.05.2026 N514223). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა,რომ სკოლის პოზიციის მოსმენის შემდგომ,
საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია სსიპ - ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადატანა სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

პასუხის მიღებამდე, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რეაბილიტაციის ჩატარებამდე, სკოლის შენობაში უსაფრთხოა თუ არა სასწავლოპროცესის განხორციელება.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლის განმარტებით, დაწესებულებამ 2026 წლის 12 ივნისს N705143 წერილით ცენტრში წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „იქიდან გამომდინარე, რომ სკოლის შენობა არ არის ავარიულ ტექნიკურ მდგომარეობაში, მისი ექსპლუატაცია შენობის გამაგრებასთან დაკავშირებით შესაბამისი დროული გადაწყვეტილების მიღებამდე და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებამდე დროებით უსაფრთხოა.“ საბჭომ აღნიშნული კორესპონდენცია ჩათვალა მისაღებად და შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №92 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:47
დასრულების დრო - 15:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №92 საჯარო სკოლას (ს/კ: 206031747) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი ვაზისუბნის I მიკრორაიონი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი ვაზისუბნის I მიკრორაიონი
3		საშუალო	ქართული	ქ. თბილისი ვაზისუბნის I

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			მიკრორაიონი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2027 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ უზრუნველყოს კომპეტენცია დადასტურებული სპორტისა და ისტ-ის პედაგოგების დასაქმება, 2028 წლის მარტში სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება, ლიფტის დამონტაჟება, 2026 წლის სექტემბერში სკოლამ უზრუნველყოს ამწოვი კარადის შეძენა და მონტაჟი, ტექნოლოგიების და სპორტის კვალიფიცირებული მასწავლებლის დასაქმების, 2028 წლის ივნისში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ- ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ვასაძემ . ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1000. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, ნინო ვასაძემ , აღნიშნა რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ 2026 წლის 25 მაისს, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის გადადება, ვინაიდან სკოლას ჰქონდა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უარყოფითი დასკვნა. მისი თქმით, დაწესებულებამ ხარისხის ცენტრში წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კორესპონდენცია, რომლის თანახმადაც, იგეგმებოდა სკოლის შენობის დაზიანების აღმოფხვრა უმოკლეს ვადაში
 საბჭოს თავჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, კითხვით მიმართა, ექსპერტს, კითხვა ეხებოდა ლაბორატორიაში ამწოვი კარადის და ცეცხლგამძლე მაგიდის არსებობის საკითხს. ექსპერტმა, ნინო ვასაძემ, აღნიშნა, რომ აღნიშნული სკოლას არ გააჩნდა.
საბჭოს თავჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, კითხვით მიმართა, დაწესებულების წარმომადგენელს კითხვა ეხებოდა მდგრადობის დასკვნის მოპოვების საკითხს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ მოქიამ, აღნიშნა, რომ სკოლაში იგეგმებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. შესაბამისად, სკოლამ თავი შეიკავა განახლებული მდგრადობის დასკვნის მოპოვებაზე. მიუხედავად იმისა რომ პირველად დასკვნაში აღნიშნული ხარვეზები სკოლამ აღმოფხვრა და მზად იყო დასკვნის მოსაპოვებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:05
დასრულების დრო - 16:26

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლას (ს/კ: 237101943) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ოზურგეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა №8
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ოზურგეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა №8
3		საშუალო	ქართული	

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ქალაქი ოზურგეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა №8

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში მდგრადობის დასკვნის, ექიმის კვალიფიკაციის, 2027 წლის მაისში სკოლის შენობის ადაპტირების 2028 წლის ივნისში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:35 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე